№ 181 აგვისტო 21, ხუთშაბათი 1886 აგვისტო 21, ხუთშაბათი № 181

ივერია

გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და კრიქერთვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კაპ.

ტფილისი, 20 აგვისტო

ჩვენ, ჩვენის შეძლებისამებრ, გამოვიძიეთ მიზეზი, ბუნება და მიმართულება ხიზნობისა და აღვნიშნეთ იგი საგანიც, რომლისაგენაც ხიზნობა დღეს მიიზიდება თვისის ბუნების ძალ-დატანებითა. ჩვენა ვნახეთ, რომ ეს გვარი მფლობელობა მიწისა შექმნა თვითონ ერის ცხოვრებამ, თვითონ ერმა გამოჭხარშა თვისის ცხოვრების მდუღარებაში და წამლად დაიდვა იმ ტკივილის მოსარჩენად, რაიც სამწუხარო მოვლენამ მიწისა და ხელის განცალკევებისამ აუტეხა დროთა მიმავლობაში. სულიერმა ძალ-ღონემ ერისამ მთელი საუკუნოები იმოქმედა ამაზედ, მთელი საუკუნოები მოახმარა ამას, ტანი ააურევინა და გამოიყვანა კუთვნილს გზაზედ შემდეგის წარმატებისათვის. და ეხლა, როცა ეს ხიზნობის საქმე წინ მოგვდგომია ასე თუ ისე გადასაწყვეტად, ნუ თუ მართალნი ვიქნებით ზურგი შევუქციოთ ერის სურვილს, ესე ცხადად და აშკარად ხიზნობაში გამოთქმულს? ნუ თუ არ შევცდებით უარ-ვყოთ ეს ერის ცხოვრების ნადუღარი წესი და მის შინაგანს მოთხოვნილებას არ ავყვეთ და მხარი არ მივცეთ?

იქნება სიტყვა შემოგვიბრუნონ და გვითხრან: რა ვუყოთ, რომ თვით ერისაგან არის შექმნილი მაგ გვარი წესიო? განა ცოტაა იმისთანა წესი, რომ ერს შეექმნას და ან ბუნებითად სულ არ ვარგოდეს, ან დრო მოეჭამოს და კარგი ავად გადაჭქცეოდეს თვითონ ერსავე? რასაკვირველია, ყოველივე ეს შესაძლოა და არა ერთი და ორი მაგალითია მაგ აზრის საბუთად. ხოლო ეგ აზრი მოსატანი არ არის ხიზნობის საქმეში. ამ გვარის წესის ავ-კარგიანობა რაში უნდა გამოთქმულიყო?

ჯერ ზნეობრივს სფერაში, იმიტომ-რომ ხიზნობაში ერთის მხრით უმამულო კაცია და მეორეს მხრით უხელო, ერთმანეთზედ დამოკიდებულნი. ამის გამო ყველაზედ უწინ კაცს ეს საკითხავი მოადგება ენაზედ: ხომ არა ჭხუთავს ერთი მეორეს პირადად? ჩვენა ვნახეთ, რომ ხიზნობა უსათუოდ ნება-ყოფლობაზედ არის აშენებული და ეს ნება-ყოფლობა ბოლომდის ზედ შერჩენია, რადგანაც ერთსაც და მეორესაც ნება აქვთ ერთმანეთს განშორდნენ რა დროსაც კი მოისურვებენ თვითვეულად ცალკე. საცა ჩაბმაც და ამოშვებაც თვითონ ადამიანის ნებაზეა მივარდნილი სხვის დაუკითხავად, იქ შეხუთვას ადამიანის პირადის უფლებისას ადგილი არა აქვს. იქ ან ორნივ თავისუფალნი არიან, ან ორნივ მორჩილნი ერთისა და იმავე ხელ-შეკრულობისა. ამ სახით თვითონ ხიზნობის ბუნებაში ადამიანის პირადობის შემხუთავი არა არის-რა. პირ-იქით ხიზნობა ყოველ გვარს შეხუთვას ეურჩება და დიდის გულ-მოდგინებით ჭპატრონობს ადამიანის პირადს უფლებასა. და თუ—როგორც ჩვენ ვითხოვთ—კანონი ჩაერევა და ადამიანის სიხარბეს ჭდეს დაუდებს, მაშინ ხომ ყოველივე ნიშან-წყალი სხვა ყოველ-გვარის შეხუთვისაც კი სრულებით გაჭქრება.

ახლა ვნახოთ,—ხომ არ აშავებს რასმეს ხიზნობა ეკონომიურს სფერაში, იმიტომ-რომ იგი მიმართულია ერთს გვარს მრეწველობაზედ, რომელსაც მიწათ-მოქმედი მრეწველობა ჰქვიან? ამ საკითხავის შესახებ ჩვენ გვინდა ვიმოწმოთ სხვა-და-სხვა მეცნიერნი, რომელთაც ხიზნობის მაგვარი მფლობელობა მიწისა ამ მხრით გამოუძიებიათ, ხოლო ვშიშობთ, რომ ეს წერილი არ გაგვიგრძელდეს და მით იძულებულ არა გვყოს უადგილო-ადგილას გავწყვიტოთ. ამიტომაც ამ საგანზედ საუბარს შემდეგს ნომერში განვაგრძობთ.

ახალი ამბავი

⁂ სხვა ქვეყნებში და ყველგან რუსეთშიაც გაზეთები თვალ-ყურს ადევნებენ თავის ქალაქის ყოფა-ცხოვრებას და რაც ნაკლულევანებას დაინახავენ, მაგალითებრ, თუ რომელსამე ქუჩაზე ქვის დაგება არის საჭირო, ან თუ ბინძურობაა, ან ფანრებს თავის დროზე და რიგიანად არ ანთებენ და სხვ. და სხვ., მაშინვე ამჟღავნებენ ამ ნაკლულევანებას, ატყობინებენ საზოგადოებას. საქალაქო გამგეობაში ჰყავთ ხოლმე კაცი, რომელიც ვალდებულია ყველა ადგილობრივ გაზეთებს თვალი ადევნოს და თუ ქალაქის ნაკლულევანების შესახებ იქნება რამე დაბეჭდილი, მაშინვე მოახსენოს ქალაქის თავს, რომელიც დაუყოვნებლივ აძლევს განკარგულებას ამ ნაკლულევანების ასაცილებლად.

აქაური გაზეთები კარგად ასრულებენ ამ მხრივ თავის მოვალეობას, არ ჩამოუვარდებიან სხვა ქალაქების გაზეთებს, მაგრამ ქალაქის გამგეობა კი სულ სხვა ნაირად იქცევა: **არც ერთის გაზეთის რჩევას და ჩივილს ყურს არ უგდებს.**

«Кавказъ»-ი, ჩვენი გაზეთი და «Нов. обоз.» ყოველ დღე სჩივიან, რომ ესა და ეს ქუჩა ტალახითა და ნაგვით არის სავსე, ამა და ამ ქუჩაზედ მკვდარი, გახრწნილი კატები და ძაღლები ჰყრიაო, მაგრამ გაზეთების ჩივილი რჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“. ერთხელ არ გვინახავს, რომ ვინმემ ყურადღება მიაქციოს ამათ ჩივილს: მარტო ჩვენს გაზეთში სამჯერ იყო დაბეჭდილი, რომ დიდ მრუდე ქუჩაზე გაევლა შეუძლებელია მტვრისა და ბინძურობის გამოო, მაგრამ დღესაც ჰნახავთ, რომ ამ ჩივილით არ მოჰკლებია ამ «დიდ ქუჩას» არც ნაგავი და არც ბინძურობა. ამ ზაფხულს თუმცა ორჯელ დაჰგავეს ეს ქუჩა, მაგრამ ნაგავი არც ერთხელ არ გადაუყრიათ. ავილოთ ეხლა სხვა ქუჩები—აი თუნდ პოლიციის ქუჩას რომ ეძახიან. რამდენჯელ იყო რუსულსა და ქართულ გაზეთებში ჩივილი ამ ქუჩის უსუფთაობაზე, მაგრამ არც ამას ეშველა რამე, გამგეობა თითქოს ჯიბრში გვიდგება და თავის მოვალეობად არა სთვლის, ქალაქის სისუფთავეზე იზრუნოსო. ამის შემდეგ ყველას ეკარგება ხალისი. უნდათ და ვერა უთქვამთ-რა. ან რათა სთქვან, თუ კი იმათ სიტყვებს „კუჭია ჩაჭყლაპავს“ და არავინ არავითარს ყურადღებას არ მიაქცევს. კარგია კიდევ, რომ არიან იმისთანანი, რომელნიც მაინც ხალისს არა ჰკარგავენ და ამბობენ: ჩვენ ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ და ვინც რა უნდა ჰქნას, ვისაც როგორც ჰსურს—ისე მოიქცესო.

როგორ არა ვთქვათ რა... თუნდ... მაგ., ქუჩების განათებაზე. ავილოთ «ავჭალის» ქუჩა, ან «ნიკოლაევისა», „ხევისა“, «განოვისა», ან „ძველი დამოჟნისა“. კაცი იფიქრებს, რომ ამ ქუჩებზე ფანრები დაუდგამთ მარტო იმისათვის; რომ გამვლელი ფანრის ბოძს არ მიაწყდეს ბნელაშიო—

ფელეტონი

შთაბეჭდილებანი

(ფშაველების ცხოვრებიდამ)

I

პატარაობისას მიღებული შთაბეჭდილება და შეყვარებული საგანი სამარის კარამდე საყვარელ საგნად რჩება. სხვა-და-სხვა სიყმაწვილიდამვე შეყვარებულ საგანთა შორის მე მიყვარს ერთი სახლი ფშავის ხევში; ის სახლი მდ. აფხუშურას მარჯვენა ნაპირზედ სდგას, ერთის მთის ძირში; სახლს გვერდზე საბძელი უდგას ყარტით*) დაფარებული. საბძელზე ყარტი დამპალა და დაბლა გაფენილა; ჩამონაშლიდამ ალაგ-ალაგ მურყნის კავები გამოიყურება, აკლდამიდამ გამოჩენილს ძვლებს მოგაგონებსთ. თვითონ ბანი ბალახით დაფარულა. ზაფხულობით სახლი აღარა სჩანს შამბში, ატეხილს ჭინჭარში. სახლის უკან ჩამოსდგამს გვერდა, იმაზედ პატარა რუ მოსდევს. რუს ნაპირებზე ერთმანეთში არეული ბუერა, ღიყი და შუპყა არის ამოსული. გაზაფხულზე, როდესაც ზვავები დნება, მიწა და თოვლი ერთმანერთში არეული ჩაიფუვლებს, ამ რუზე კენკეშა**) ამოდის. ბოწახური მწყემსები განგებ ამ ადგილებს უმარჯვებენ საქონელს, რომ «კენკეშიანში» ჩამოეიდნენ. გაღმიდამ სახლს შემოჰხედავს ხრიოკი, ტიტველი სახნავი მიწა; იმაზედ ნარის და თავ-შავას***) მეტი არაფერი მოდის, იმისგან არც წყენა მომაგონდება, არც სიამოვნება. მაგრამ იმ მამულის თავში, ტყიანში ერთი წვერხმელი, ფუტურო (ღრუვი) წიფელია, იმის დანახვა კი მიხარიან,—მიხარიან იმიტომ, რომ იქიდამ ზამთარში კვერნა გამოვიყვანეთ, — «შაუბოლეთ». მუგუზალი ამ სახლიდამ წავიღეთ.

აქ სცხოვრობდა ორი მოხუცებული ცოლ-ქმარი, თამარი და პაპა. პაპამ გვკითხა მე და ჩემს ამხანაგებს, რისთვის გინდათ ცეცხლიო? ჩვენ აუხსენით საქმის გარემოება. ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ, წაიღეთ შვილო, სთქვა და მოგვაწოდა მუგუზალი პაპამ. პაპა ღარიბად სცხოვრობდა, მოხუცებულებს „შამნახავი“ არ დარჩათ. პატარაობისას ხშირად მინახავს პაპა: ზამთარში ცეცხლის პირას წამოწოლილი ნაბდის ნაგლეჯზე, ზაფხულობით დერეფანში შამბზე მჯდომარე. ოფლისაგან გაშავებულ ხამის პერანგის საკინძი ჩამოგლეჯილი, ჩამოწყვეტილი ჰქონდა და ბალნიანი მკერდი უჩანდა. მუდამ ზედ ესხა შემჭვარტლილი გაყვითლებული ტყავი, მუდმივი საჭმელი პაპასი ნიორ-წყალი იყო, ან მარილ წყალი. გაჰხსნიდა ჯამში მარილს და ჩაიყრიდა მშრალ ქერის პურის გულს. გვერდით, სქელს მუხის ფიცარზე, ეწყო მუდამ განუშორებლივ პურის „კოტორი“—ყუა, ხის თეფში, ქუბდია (სამარილე) და ხის კოვზი და ნიერის სანაყი გურჩი. ყველა ამას, მანამ სატირლად ან „შეშობად“ წაიღოდა, თამარი დაუმზადებდა და დაუწყობდა გვერდით. საზოგადოდ მოხუცებულები წელში მოხრილები არიან. პაპას ოდნად ეტყობოდა ეს დაუძლურების ნიშანი. პაპას ტკბილი ლაპარაკი უხდებოდა, იგი სიტყვის თავზედ ატანდა.

— „შენს თვალთ ენაცვლოს პაპა“, „მოკვდეს თქვენი დაუტირებელი, თუ პაპამ ტყუილი გითხრასთ“.

როდესაც პაპა მარტოკა, გარინდებული იჯდა დერეფანში, მაშინ მოხუცი ამირანის სურათად გამოადგებოდა მხატვარს. პაპა სულ ძველ დროზე გვიამბობდა, ომებზედ, ვაჟკაცობაზე. კაცის დასაფასებლად იმას ერთი ზომა ჰქონდა: გულადი, ან «მიშიბალა»—მხდალი, იმან არ იცოდა ლაპარაკში ხმარება «კარგი»-ს და «ცუდი»-სა; გვიამბობდა პაპა ძველის კაცების ახოვნობაზე:

— მე ერთი ძველი მოვხელე, შვილო, ემა ნახოვლარში მუხლისა, იქნებოდა ორი ადლი.

მობრალულები არიანო, ამბობდა ხალხი იმათზე, დიდეჩემი უფრო შებრალებით მიწერდა პაპას და იმის მეუღლის ყოფა-ცხოვრებას.

— ჩამაუდნი ბეჩავს პაპას, რაც ეგ მობრალული და მოყვარული იყვის, ვაჟ-კაცობაში ყინჩი (კარგი) იყვის პაპა შახედულად და ისე არ გასცდის სასაფლაოს, რო არ მისულიყო და არ ეტირა; ძროხებში ნამყოფს რამდენჯერ მინახავ ეგ სასაფლაოზე მარტუა ტირილში: „გენაცვალოსთ პაპა ვაჟკაცებო, ნეტავი ლოგინი გაგიცვალა!... ბალღი ისე იტირის, ვაჟკაცს არ იტირებს ისრე“-ო.

ერთხელ პაპა მაზრის უფროსმა დაიბარა.

— რატომ მახტას არ აძლევთ ხემწიფესაო? ჰკითხა პაპას მაზრის უფროსმა.

პაპა ჯოხ დაბჯენილი იდგა და ბეწვ-გაყრევინებული ქუდი ეჭირა ხელში.

— აბა რაითა, შენ გენაცვალოს პაპა, წაიბუტბუტა მოხუცებულმა, დარჩომილი კაცი გახლავარ, ხელმხარს ველარას ვადნობ.

მაზრის უფროსი სახლში შევიდა. პაპას გვერდზე მდგომს ჩაფარს დრო მიეცა თავისი ძალა გამოეჩინა. იმან ხელი ჰკრა პაპას და პაპა წაიქცა თანაც დაატანა: თქვენი დათვია ხომ არ არის, რომ ეგრე ელაპარაკებიო! ხალხს ეწყინა მოხუცის შეურაცხყოფ ჩაფრისაგან, მაგრამ ხმა ვერავინ გასცა. მხოლოდ ჩურჩული კი ისმოდა.

პაპა ააყენეს, იმან წაიბუტბუტა:

— სირცხვილი არ არის ამ დროთას კაცს რაზედ მაჯდებითო! ღმერთმა თქვენც შაგარცხვინოსთ, თქვენი კაცობაცაო.

პაპას ხმელს, მწვანე ლოყაზე ძარღვებმა თამაში დაუწყეს მღელვარებისაგან თამარი ხალხის უკან იდგა გაიგო რაც საქმე მოხდა, წამოდგა წინ.

ჩაავლო ხელი-ხელს პაპას და გაუძღვა წინ:

«წამოდი, გამეერე, შე ბეჩაო, რად იცი წარა-უგონთ საუბარი»?

თამარმა პაპა ხალხიდამ ხანხალით გაიყვანა. საზოგადოებამ გამოუცხადა

---

*) სვილას ღეროები.

**) ფოთლიანი მცენარეა, იზრდება სიმაღლით ნახევარ ადლი.

***) მცენარეა ფოთლიანი, სიმაღლით ერთი ადლი. იმას დიდ ხანს ხარშვენ წყალში და გამონახარშით შალებსა ღებავენ შავად.

და არა გასანათებლად. ლამპრები ძლივსა ბჟუტავს, მარტო ფანჯრების ნომრებს გვინათებს—გზას კი არ ასინათებს... ნეტარება მოიჯარადრეს... დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არას წააგებს...

⁂ ჩვენს ქალაქში ძალიან გავრცელდა ამ უკანასკნელს ხანში სხვა-და-სხვა ავად-მყოფობა პატარა ყმაწვილებისა. მომეტებულ ნაწილად სტომაქის ავად-მყოფობა და ნაწლევების ანთება აქვსთ ყმაწვილებს. ამბობენ, რომ ყელ-ჭირვება, ანუ ხუნაგიც არის ალაგ-ალაგ გავრცელებულიო.

⁂ ამ ორის დღის წინად გარე-კახეთისაკენ დიდი წვიმა ყოფილა. წვიმას სეტყვაც მოჰყოლია. საშინელი ნიაღვარები თურმე მოვარდა და წალეკა არე-მარე. წვიმის დროს ისეთი შავი ღრუბელი ჩამოწვა, რომ ორ ნაბიჯზედ კაცი ვერას გაარჩევდაო. კარგი კიდევ თუ ამ წვიმამა, საშინელმა ჭექა-ქუხილმა და სეტყვამ ისე გაიარა, რომ ივრის ხეობელებს ზარალი არა მისცარა. მით უმეტესს სამწუხარო იქნება ესა, რომ ორი სოფელი, სახელდობრ, პატარძეული და ბერთუბანი საშინლად დაზარალდა ამ ზაფხულს ცეცხლის გამო.

⁂ ამ ცეცხლსავე დიდი ზარალი მიუცია ერთის მემამულესთვის სოფელ ახალ-ქალაქში, სახელდობრ, თ. ლევან თარხნიშვილისათვის. ამბობენ, ვილახიც ბოროტმა ხელმა წაუკიდა ცეცხლი ამ მემამულეს ძნებსა და სულ ერთიანად გადასწვაო.

⁂ საქართველო-იმერეთის სინოდალურს კანტორაში ბ-ნის სვიმონოვის მაგიერ სეკრეტრად დაუნიშნავთ ბ-ნი მაქ. სუხიევი.

⁂ როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, 15 აგვისტოდგან მეთულუხჩეებისათვის ახალი ნიხრი იქმნა დაწესებული. თუმცა ეს ასე იყო და ზემოხსენებული ნიხრიც გაზეთებში დაიბეჭდა და გამოცხადდა, მაგრამ აგერ დღეს 20 აგვისტოა და ეს ნიხრი ჯერ კიდევ ძალაში არ შესულა. მეთულუხჩეებს ისევე დააქვთ წყალი, როგორც აქამდე დაჰქონდათ.

⁂ მიიწურა აგვისტო და აივსო ჩვენი ქალაქიც პატარა ყმაწვილებითა და მათის მშობლებით. ყმაწვილები ჩამოსულან ეგზამენების დაჭერისათვის სხვა-და-სხვა სასწავლებელში შესასვლელად. ზოგი სულ ახალად იჭერს ეგზამენს და ზოგი კიდევ ხელ-მეორედ. კადეტის კორპუსში დღეს, 20 აგვისტოს დაიწყო ეგზამენები. გიმნაზიებშიაც ამ ორს დღეში დაიწყობა. სასულიერო სემინარიაში აგერ ერთი კვირაა ეგზამენებია და 6 სექტემბრამდე კიდევ გასტანსო.

⁂ უწმინდაესის სინოდის ობერ-პროკურორი კ. პ. პობედონოსცევი და ამავე დაწესებულების კანცელარიის საქმეთა გამგე ვ. კ. საბლერი ჩვენს ქალაქში, როგორც გაზ. „კავკაზს“ ატყობინებენ, აგვისტოს 30 მოელენო.

⁂ ვიცე-დირექტორი უწმინდაესის სინოდის კანცელიარიისა, საერო განათლების მინისტრის რჩევის წევრის ი. ა. ჩისტოვიჩისთვის, რომლის ტფილისში ჩამობრძანება უკვე იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, მიუნდვიათ აგრეთვე ყველა სასწავლებლების გასინჯვა, რომელნიც კი საერო განათლების სამინისტროს უწყების ქვეშ იმყოფებიან. ჩისტოვიჩსავე აქვს მინდობილი დაწვრილებით შეიტყოს სემინარიის წესები.

⁂ გაზეთ «მშაკის» სიტყვით, ტფილისის სომხების სემინარიის მასწავლებელს აბესალომ იოანნესიანს შეუდგენია დიდი რუსულ-სომხური ლექსიკონი და აბეჭდვინებსო.

⁂ ესევე გაზეთი ამბობს, რომ მტკვრის ნაპირას, მცხეთაში, რკინის გზის სადგურთან, აკეთებენ წისქვილს, რომელიც ორთქლით იმუშავებსო.

⁂ 19 აგვისტოს, დილით, ტფილისის ფოსტის კანტორაში შეუნიშნავთ, რომ 8,000 მანათი აკლიაო. 18 აგვისტოს, ღამე, როდესაც კავკავიდგან ფულის ფოსტა მიიღეს და სინჯავდნენ, საერთო ფულის აბგიდგან გამოყარეს კართოფილის სანთლის ნამტვრევები, ფოლაქები, საფანტი. კარგად გასინჯეს აბგა, მაგრამ ყველა რაზები და თვით შემოსაჭერი ჯაჭვიც მრთელი იყო. მეორე დღეს, 19 აგვისტოს, მოიწვიეს გამომძიებელი და იმის თანადასწრებით დაუწყეს ამოლაგება იმ ფოსტას, რომელიც დიდს აბგაშივეა შენახული და რკინის ჯაჭვით არის შემოჭერილი და შეკრული ხოლმე. ერთი ფულიანი პაკეთი რომ გახსნეს, რომელშიაც 15,000 მანათი უნდა ყოფილიყო, შენიშნეს, რომ 8,000 მანათი აკლია. ხელ-ახლად რომ გასინჯეს აბგის ზემო ჯაჭვები, აღმოაჩინეს, რომ ერთი გარეთი რკინის რგოლი გადახერხილი იყო. ფულის ამოლებით, რასაკვირველია, აბგას წონაში დაჰკლებოდა და ამიტომ სანთლის ნაჭრები და სხ. ჩაუყრიათ, რომ წონაში სწორედ გამოვიდესო. ის პაკეთი, რომლიდგანაც ამოელოთ 8,000 მანათი, თიონეთის მაზრის ხაზინის სახელზედ ყოფილიყო პეტერბურგიდგან გამოგზავნილი. („ნოვ. ობოზ.“)

⁂ 17 აგვისტოს, მატარებელს № 11, რკინის გზის სადგურთ სოგუტბულახისა და პოილის შუა, 355 ვერსზედ, ქვეშ მოჰყოლია რკინის გზის მუშა ტფილისის გუბერნიის სოფ. რუისის გლეხი მიხეილ სოლომანაშვილი. («ნოვ. ობოზრ.»)

⁂ 19 აგვისტოს, მე-8 ნაწილში, თივების მოედანზედ, ტფილისის მოქალაქის შაქარ თათულოვის წყლის მზიდავი მუშა დიმიტრი (გვარი არ იციან) წყალს ავსებდა თურმე მტკვარზე, გაუფრთხილებლობით ჩავარდა წყალში და დაირჩო.

დამაკვირდი!

სრა-სასახლენი, ციხე-დარბაზნი მალე დაცარიელდებოდნენ, თუ შიგ მარტო მეგობრები გინდა რომ იდგნენ. (ბუსტე.)

**

სრა-სასახლის კარნი მაღალნი არ არიან, როგორც ჰფიქრობენ: მათში შესვლა შესაძლოა მარტო ჩოქვითა. (ბიშენ)

**

არა, არ ვუქებ კაც-კაცსა
კაცთა მუსრვას და ომსაო!..
კაც-კაც იგია, ვინც მართალს
მტკვის ქვეყანას მცდომსაო;
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო;
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ღომსაო. (ლარომე)

**

რადგანაც კაცნი გვქვიან—
შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას,
გვესმას მშობლისა. (ნ. ბარათაშვილი)

**

გლისპი დიაცი მამაცის
სახლსა თუ იყოს მყოფელი,
ამ სოფლის ჯოჯოხეთია,
პირისა დასაყოფელი. (მეფე ვახტანგ IV)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქამური. ზემო ბაგინა, ქვემო ბაგინა, ტოლოიანთ-კარი, კორა და სხვა პატარ-პატარა სოფლები მდებარეობენ მდ. ქსნის სათავეზედ. საზოგადოდ ყველა ამ სოფლებს უძახიან „ქამურს“. სოფლები გაშენებულია უზარ-მაზარს მთებზედ, რომელნიც აღმართულნი არიან ქსნის ორთავე ნაპირზედ. სახლები სწორედ მერცხლის ბუდესავით მიკრულნი არიან მთის კალთებზე. მგზავრობა ქამურში ძალიან ძნელია დიდის აღმართებისა და გზების უქონლობის გამო. აქ იმისთანა გზა არ მოიპოვება, რომ მარხილმა გაიაროს; არის მხოლოდ ვიწრო ბილიკები, რომელზედაც სიარული არამც თუ ცხენით, ფეხითაც კი საშიშია. ერთი ფეხი რომ გადაუცდეს კაცს ბილიკიდგან, მაშინვე უნდა გამოესალმოს სიცოცხლეს.

როდესაც მე და ჩემ თანამოგზაურს მოგვიხდა ამ ნაირ ბილიკებზედ გავლა და გადავიხედეთ ძირს, ისეთი თავზარი დაგვეცა, რომ ჩემმა თანამოგზაურმა ველარცკი გამოიარა, სანამდისინ ხელი არ მოსჭიდეს და ისე არ გამოატარეს.

ქამური დასახლებულია ოსებით. თუმცა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც აქ გავრცელებულა ქრისტიანობა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერა დგას მაგარ ნიადაგზედ; ცრუ მორწმუნოებას და წარმართულ ჩვეულებას ფართო ადგილი უჭირავს. ბევრგან არის იმისთანა ხეები, რომელსაც ისინი აწერენ ზესთა-ბუნებით ღვთიურ ძალას და თაყვანსა სცემენ. ამ ხეებზედ, ან მის ახლო, სდგამენ პატარა კოლოფებს და ჰყრიან შიგ ფულებს. ყველაზედ უფრო შესანიშნავია აქ ერთი სალოცავი ოთახი, რომელსაც კარები აღმოსავლეთისაკენა აქვს. აქაური მოხელეობა სცდილობდა, რომ დაენგრევინებინა ეს სალოცავი, მაგრამ რადგანაც ხალხი ძალიან წინააღუდგა, გადასწყვიტა, რომ დარჩეს დაუნგრეველი, მხოლოდ კარები დასავლეთისკენ გაუკეთდესო. ამ სალოცავს ოთახში ასვენია დასავლეთისკენ ერთი ვერცხლით შეჭედილი ჯვარი, რომელსაც «სირხი ძვარს» ეძახიან. ეს «ძვარი» დიდად პატივცემულია სამხრეთ ოსეთში; არა დეკანოზი არ დაილოცება ისე, რომ „სირხი ძვარი“ არ ახსენოს.

ქამურელები მიცვალებულზე აი რა წესებს მისდევენ: მიცვალებულს შემოუტარებენ ხოლმე ცხენს, ატანენ საფლავში პურს, არაყს და სხ., რადგანაც ჰგონიათ რომ, მიცვალებული მოიხმარებსო. სხვათა ცრუ-მორწმუნოებათა შორის ქამურში ძალიან გავრცელებულია მკითხაობა; არა მხარეში არ მოიპოვება იმდენი მკითხავი, რამდენიც აქ. ყველა მკითხავთა შორის

მაზრის უფროსს, რომ ჩვენ გავიკვნჰავეთ პაპას კუთვნილს მახტასაო.

II

— წიგნი ვერ ისწავლეე შვილო, რუსულადაც კი წაიკითხავ? მკითხავდა პაპა.

— წავიკითხავ.

— მაშ თუ რუსული ქაღალდი ისწავლე, ჯარში წახვალ.

მე მეწყინა. ვუთხარი, ჩინონიკად გამოვალ-მეთქი.

— წაგიყვანენ შვილილამა, ასე მალე, რო მზე მაღლა იდგეს, ფშავლობა დაგავიწყდება, ჩემა ცხონებამ... თავისი მიწა-წყალი ადვილი დასაკარგავი არ არი, შვილო!

პაპასთან ძვირად თუ ნახავდით იმის ტოლს ჩაჩანაკს მოხუცებულებს, ისინი სიშორის გამო ვერ მოდიოდნენ პაპასთან სამასლაათოდ, „საფიხვნოდ“. იმასთან ხშირად ნახავდით შუათანა ხნის კაცს მოკლიას,—«საიქიოს მნახველს». საიქიო ნახა, თუ არა მოკლიამ, ეგ თვითონ იმან და მკითხველმა იცოდეს... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ „საიქიოს მნახველი“ დიდხანს იყო ავად, სამი დღე სიცხისაგან დაბნედილი იყო, ხალხს მკვდარი ეგონა. მოკლია მორჩა. გააგონეს იმას ეს ამბავი. მოკლია ხალხის საუბარმა დაარწმუნა, რომ მართლა მოკვდა და საიქიოც ნახა. იგი ყველა უცხო კაცს საიქიოს ამბავს მოუყვებოდა. „გაცოცხლების“ შემდეგ მოკლია სრულიად გამოიცვალა: წინად ის მხიარული და ხუმარა იყო, შემდეგ დადინჯდა, დაჯავრიანდა, მუდამ ფიქრებში იყო გართული. ლაპარაკობდა მიკნავებულის ხმით, მუშაობითაც ველარ მუშაობდა წინანდებულად; გამოსჭრიდა ორ-სამს ულოს, დაჯდებოდა და ეძლეოდა უქმს, მჩატე ფიქრებს.

ერთხელ მოკლია პაპასთან იჯდა დერიფანში, თავზედ შავი ხელსახოცი ჰქონდა წაკრული, ნაბდის შავი ქუდი დაბლა ჰქონდა ჩამოწეული. მოკლიამ დაიწყო თავისებური ბოდვა თითქო ეხლაც სიზმარშიაო საიქიოზე:

— მე რო წამიყვანეს იმ დალოცვილებმა, ჯერ ერთს პრიალო მინდორზე გამაქანეს, ყვალიანს მინდორზე, სუ წითელ-ყვითლად გაჰლუოდა. მინდორს რო გავცდით, მემრე ნელ-ნელა ამწიეს და წაველით ცისაკე, ფთეები შამესხა. მივედით ერთს ადგილს, დიდი ნასახლარები იყო ჩაქცეულ-ჩანგრეული. ბნელი იყო, რო თვალი არ გაიჩხვერებოდა. მაღლაით წყალი ჰქონავდა, ჩამოდიოდა და გუბდებოდა. გველ-ბაყაყებით ავსილიყო იქაურობა. გავიარეთ ის ნასახლარები და მივადგვით ერთს დიდს ხევსა, ცეცხლით სავსეს. ჯერაც თვალ-წინ მიდგა ჩამოთოვლილი მთები და ხალხის წიოკი ცეცხლში. ცეცხლი შავადა ფუოდა. ეგ კუპრის წყალიაო, მითხრეს წერა-მწერელთ. თვალი დამრჩა ზენაისაკე, გაგონილი მქონდა წინავ ბეწვის ხიდა, აქ უნდა სამ იყოსო, ვიფიქრე; დავახერე თვალი და მართლა ენახე, რო წბილასავით შავად ეტყობოდა. მიმიყვანეს იქა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და მითხრეს:—ამაზე უნდა გაიაროვო. შავშინდი, დაუწყე ხვეწნა, თქვენი ჭირიმეთ, მაგაზე კი ნუ გამავლევთ და რაკი დასაკარგავი ვარ, ბარევალ ამიღეთ და პირ-და-პირ გადამაგდეთო. არ შეიძლებაო; თუ მართალი ხარ, გაილიო. ღმერთო და ჩემო სიალნეო, შენ მიშველეო, ვთქვი და შავდევ, თვალები კი დავხუჭე: სამნივ ღთის შვილნი უკვენ მამყვნენ; და, და, და! როგორც იყო გაველ, მივადგვით სხვას კარსა: აქათ სამ მარცხნივ შავი კაცები იდგნენ, საძაგლები, საზარლები, ხელი გამოწვადეს ჩემკე; აქ მოგვგვარეთ, აქაო. სათქვენოდ არა სცალიან მოკლიასაო, უთხრა იმ ერთმა ღთის შვილმა. პირ-და-პირ შამიყვანეს განათებულს სახში, იქაური სინათლე აღარც მზისასა ჰგვანდა, არც ცეცხლისასა, სუ სხვა რიგი როგორივ იყო. ზემოთ სიმღერე ისმოდა; ცეცხლის ბალღეები იმღეროდენ მწკეპრის ხმით, იმათმა წკივილმაა ყურთა-სმენა გამტაცა. ხალხი ირეოდა ერთმანერთში. მეც დავუწყე თვალებს ცეცება, მინდოდა ჩემნი მამა-პაპანი მენახნენ. ხალხის უკვენ სამ ჩემი მამიდაშვილი ბეწინიკა ენახე, ხელი დამიქნია, აქ წამოდი, აქა, ჩემთანაო; მეწადა, მაგრამ არ გამიშვეს. ქვეით დამრჩა თვალი: კაცს ხარი სჩხვერავს. ეგ ხარი რადა სჩხვერავს მაგ კაცსაო? ვიკითხე. იმითაო, მითხრეს, რომ მაგ კაცს სხვასთან ხარები ება, ეგ ხარი სხვისა იყო, თავის ხარებს კი აჭმევდა და მაგას კი მშიერას ამუშავებდა, ახნევინებდაო. ეხლა ყრილობს ხარი გუთნის დედის ჯავრსაო.

მეორეგანა ენახე: ერთს უბრალო, ვეება ფარდაგზე ორი კაც-დედაკაცი წევს და სწიხლენ ერთმანერთს, ვერ ეტევიან. მე!! დიდება შენთვისა, ჩემო სალოცო! ეგენი ვინ-ღა არიანო? ვკითხე ღთის შვილთა. ეგენი ცოლ-ქმარნიაო, მითხრეს; მაგათ იქაც ეჯავრებოდა ერთ-ურთი, მაგრამ ერთადვე კი იყვნენ, აქაც ისევ ისე არიანო. ცოტა მოშორებით ნეკის ოდენა ფიცარა იყო გადებული და იმაზედაც კაც-დედაკაცნი იწვნენ მოსვენებით, ყინჩად. ეგენი როგორღა ეტევიან მაგაზე, ვინ უნდა იყვნენო?—ეგენი ცოლ-ქმარნია, იქაც ერთმანერთი უყვარდათ, ლხინში და ჭირში მხარს აძლევდენ ერთმანერთსა და აქაც ხო ჰხედავ, როგორ ბატარაკას ფიცარზე ეტევიანო. ვინ მასთვლის, სხვა რამდენი რამა ენახე საკვირველი? გამიყვანეს მარჯვნივ, თვალები ამება რამწამს გაეჩნდი: ერთი სასახლე გამოჩნდა თეთრი, დიდი, ცამდი ჰხირებდა წვერსა, მზესავითა ლაპლაპებდა. სასახლის წინ თვალს ვერ გადააწვდენდა კაცი, იმ სიდიდო ჭაობი იყო. ედებოდა, ედებოდა პეპელა ჭაობს, ალარა გაიგებოდა. სასახლეში ერთი ბებერი კაცი იჯდა, უმტვეროს თოვლივით თეთრი წვერი გულზედა სცემდა, იჯდა დაფიქრებული და გადმოჰყურებდა პეპელის გუნდსა. ეგ პეპელა რაღა ამბავიაო? ვიკითხე. ეგეები ბალღები არიან და ის კაცი მაგათ პატრონიაო. მოხუცმა სამ იკითხა.—ვინ მაიყვანეთო?

— მოკლია მოვიყვანეთ ლალილაშვილი, შენი ჭირიმე, მოკლიაო.

— ვინ გითხრათ, ეგ მაიყვანეთო, გაჯავრდა სამა,—წაიყვანეთ, წაიყვანეთ, თორო ან მე და ან თქვენაო. მამცეს ერთი ბარათი, სამს წელს კიდევ იცოცხლებო, მითხრეს. გამამიყვანეს და გადმამაგდეს. წამუელ სამ დაბლა, დავეცი მიწაზე და თვალები გავახილე.

— აი დაილოცოს იმათი მადლი, სთქვა პაპამ ამოოხვრით.

ვაჟა-ფშაველა

(შემდეგი იქნება)

განთქმულია მათე ყ—შვილი. მისი სიტყვა ხალხს ღვთიურ სიტყვად მიაჩნია. ხალხს რომ უთხრას: დღეს ნუ მუშაობთ, «სირხი ძვარი» ჯავრობსო, რაც უნდა გაჩქარებული მუშაობა ჰქონდეთ, თავი უნდა გაანებონ; ან რომ უთხრას ვისმე: ესა და ეს ხარი უნდა დაუკლა „სირხი ძვარსაო", ის დაუყოვნებლივ აასრულებს.

ქამურელები ძალიან ღარიბნი არიან. მიზეზი ამისი გახლავთ მიწის უნაყოფიერობა. იგი იმდენად უნაყოფოა, რომ არაფერი არა მოდის-რა, გარდა ახალ თესლ ქერისა. მაგრამ ესეც იმდენი არ მოდის, რომ წლიდგან წლამდე ეყოთ. გარდა ხენა-თესვისა, ქამურელები მისდევენ საქონლის გაშენებას, მაგრამ ამ მხრითაც ხელ შეწყობილნი არ არიან, რადგანაც მთებიდამ ხშირად უგორდებათ და ეხოცებათ.

მართალია, ქამური მდებარეობს მთიანს ადგილას, მიწა უნაყოფოა, მაგრამ სამაგიეროდ ბევრის მხრით არის შესანიშნავი, მაგ., მჟავე წყლებით, კოშკებით და ეკკლესიებით. აქაური მჟავე წყლები გემოთი გავანან ზელცერის წყალს. როგორც გავიგე, აქედგან წაღებული წყალი გაუსინჯავთ გორში აფთექარს შეჰფსა და ერთს ექიმსა და უთქვამთ, რომ ძალიან კარგის თვისებისააო და არა რაიმე მავნებელი ნაწილი არ ურევიაო. მჟავე წყალი გამოდის სამგან: ერთი ზემობაგინაში და ორიც აქედგან ორი ვერსის ქვემოდ, ს. კორას ახლო. ძალიან კარგი სანახავია ეს წყაროები, ძირიდგან ისე ამოჩუხჩუხებენ და ისვრიან წინწკლებს, რომ კაცს ეგონება, განგებ არიან მოწყობილნიო. ქვა, ქვიშა, რაზედაც მიდის ამ წყაროების წყალი, შეღებილია წითლად, სისხლის ფრად.

ციხეები და ეკკლესიები ქამურში ბლომად არის; მომეტებულ ნაწილად აგებულნი არიან მაღალის მთის წვეროებზედ. როდესაც კაცი უცქერის მათ, განცვიფრებაში მოდის და ეკითხება თავის თავს: რა ხელმა აზიდა ამისთანა მთებზედ, ან ქვა, ან კირი, ან წყალიო?

ყველა ციხეებზე უფრო შესანიშნავია თავისის მდებარეობით და მოწყობილებით ბერის ციხე, სადაც, ხალხის გარდმოცემით, წინედ სცხოვრებდნენ ბერები. ეს ციხე აშენებულია მაღალ გორაზედ, რომელიც დაახლოებით სიგძით იქმნება ოც-და-ათი საჟენი, ხოლო სიგანით რვა; გარეშემო უვლის მდ. ქსანი. ეს ციხე ერთ მიუდგომელ ციხეთაგანია, ვისაც ჰსურს შესვლა შიგნით, მან უნდა გაიაროს ორი კარები; ერთს აღმოსავლეთისკენა აქვს პირი. როდესაც ამას გაივლის, უნდა მოუხვიოს აღმოსავლეთისკენ, აიაროს ქვის კიბე, შემდეგ მიბრუნდეს ჩრდილოეთისკენ და შევიდეს მეორე კარებში. ციხეში არის პატარა ეკკლესია, ეკკლესიის ქვეშ მარანი, სადაც დიდრონი ქვევრებია. როგორც სჩანს ნანგრევებიდგან, ციხეში ბლომად ყოფილა სახლები.

გ. ცხვედაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ვაჭრობა, ადებ-მიცემობა რუსეთში ამ ბოლოს დროს ძალიან შემცირდა. ამას ამბობენ გაზეთები, ესევე აშკარად სჩანს იმ ცნობებიდამაც, რომელიც ოფიციალურად არის გამოცხადებული. ყველაზე უტყუარი ცნობები, რასაკვირველია, საბაჟო უწყებისაა.

ამ ცნობებიდამა სჩანსო, ამბობს გაზეთი „Русскія Вѣдомости", რომ ამ წელს, ხუთის თვის განმავლობაში, საზღვარ გარედ გატანილ საქონლის რიცხვი ძლიერ შეცოტავებულა. მეტადრე საგრძნობელად და თვალ-საჩინოდ შეცოტავებულა ყოველ გვარის მიწის ნაწარმოების გატანა, რომელიც ერთს უმთავრესს ჩვენს სიმდიდრეს და ავლა-დიდებას შეადგენს. მაგალითად ამ წლის ხუთის თვის განმავლობაში სულ 67 მილიონი ფუთი პურია გატანილი საზღვარ-გარედ, მაშინ, როდესაც წარსულს 1885 წელს ამავე ხნის განმავლობაში 148 მილიონი ფუთი იყო გატანილი. ამ სახით მარტო პურს ნახევარზე მეტად უკლია ამ წელს შარშანდელ წლის შედარებით და მთელი ჩვენი შემოსავალი 64 მილიონამდე შემცირებულა. ყველაზე ნაკლებ ხორბალსა ჰქონია გასავალი, თითქმის 33 მილიონ მანათისა ნაკლები გაუყიდულა, შემდეგ ქერსა და შვრიასაო.

რა მიზეზია, კითხულობს გაზეთი, რომ ჩვენი ადებ-მიცემობა უცხო ქვეყნებთან ასე უცებ დაეცაო.

არ შეიძლება, ეს გარემოება მარტო იმითი ავხსნათო, იძლევა პასუხს თვით გაზეთივე, რომ წარსულს წელს ძალიან ნაკლებად იყო მოსავალიო. ქერზე და შვრიაზე თუ ვიტყვით ამასა, პურსა და სხვა ხორბლეულობას ვერ დავემდურებითო: ამათი მოსავალიც კარგად იყოვო და, გარდა ამისა, წინა წლებისაც ბლომად გვქონდა შენახულიო.

მაშასადამე სხვა მიზეზები უნდა მოვძებნოთო, განაგრძობს გაზეთი, და მართლა ისეთი მიზეზები აქვს ჩამოთვლილი, რომელიც სამწუხაროც არის და თან საგულისხმოც.

უმთავრესი მიზეზი ის არისო, ამბობს გაზეთი, რომ რუსეთს მოცილენი გამოუჩნდნენ. სულ ორი წელიწადია, რაც ამ მოცილეებმა თავი იჩინეს და ეხლავე თითქმის სრულიად გამოაძევონ რუსეთის საქონელი ევროპიის ბაზრებიდამ. ეს მოცილენი არიან ჩრდილოეთი ამერიკა და ინდოეთი. მეტადრე საშიშარია ჩვენთვის ინდოეთიო. ამ წელს ინდოეთიდამ ერთიორად მეტი პურია გატანილი, ვიდრე რუსეთიდამ: ინდოეთს მარტო ინგლისში 12 მილიონი ხორბალი შემოუტანია ამ ხუთს თვეში, მაშინ, როდესაც ამავე დროს რუსეთიდამ მარტო 6 მილიონია გატანილი.

გაზეთი ასახელებს კიდევ სხვა მიზეზებსაც, მაგალითად, კარგის გზების უქონლობას რუსეთში, რკინის გზების სიძვირეს...

გარდა ამისა, ამბობს ბოლოს გაზეთი, ჩვენს ადებ-მიცემობას ბევრად ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ რუსეთის ვაჭრებს უკადრისი მოტყუებაც დაუწყვიათო. მაგალითად, ამ ახლო ხანებში ოდესიდამ ინგლისში ბლომად გაუგზავნიათ ქერი და ქერში მიწა ყოფილა გარეული. ამ გარემოებას ისე გაუჯავრებია ინგლისელი ვაჭრები, რომ ერთს ვაჭრების ყრილობაზე გარდაუწყვეტიათ, ოდესიდამ ხორბლეულობას სრულებით ნუღარ ვიყიდითო.

გაზეთი ასახელებს მიზეზებს ამ სამწუხარო მოვლენისას და წამალს კი არ უჩვენებს.

რუსეთი

— 13 აგვისტოს დაბრუნებულა პეტერბურგში საზღვარ გარეთიდამ ფინანსთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ნ. ხ. ბუნგე.

— გზათა უწყების მინისტრიც, გენერალ-ადიუტანტი პოსიეტი 14 აგვისტოს ჩამოვა კურიერის მატარებლით ნიკოლაევის რკინის გზაზედ.

— ზოგიერთა ცხვრის ფარების გამშენებლებს და პატრონებს თხოვნა შეუტანიათ ფინანსთა სამინისტროში, რომ უცხოეთიდგან შემოტანილ ქონსა, მატყლსა და მატყლის ნაჩეჩზე ბაჟი დაწესდესო.

— ს.-პეტერბურგში მემამულეთა მომავალს საერო ყრილობაზედ ლაპარაკი იქნება, რომ სახელოსნო სკოლების მართებლობამ იკისროს თავიანთს სახელოსნოებში იაფ ფასად გააკეთონ ზოგიერთი მიწის შესამუშავებელი იარაღებიო.

— ხარატოვში ამ დღეებში გამართამდნენო ქარხანას, რომელშიაც სპარსეთის გამხმარ ჩამიჩიდგან ღვინო უნდა გამოხადონ.

— სახელმწიფოს დეპეშის სადგურებიდამ ამ ივლისის თვეის განმავლობაში დეპეშის გასაგზავნი ფული შემოსულა 703,952 მანათი. წარსულს წელს ამავე თვეში შემოსულა 689,719 მანათი. მაშასადამე წლეულს 14,233 მანათით მეტი შემოსულა. წლეულს 1-ს იანვრიდგან 1-ს აგვისტომდე დეპეშის ფული სულ შემოსულა 4,718,146 მანათი, წარსულ წელს კი ამავე დროში 4,740,110 მანათი შემოსულა.

— სასულიერო სემინარიებში 70 წლებში ექიმობას ასწავლიდნენ. შემდეგ მოსპეს. ეხლა „ექიმობის შესწავლა" ხელ-ახლად საჭიროდ დაუნახავთ სასულიერო სემინარიებში. კიევის მიტროპოლიტი პლატონი ზოგიერთა სასულიერო პირთა თხოვნით შუამდგომელობს, რომ იქაურს სემინარიაში შეგირდებს ასწავლონ ექიმობა, რომ მომავალს მოძღვრებს შეეძლოთ რაიმე შველა მისცენ თავიანთს მრევლსა. საექიმო საგნის სწავლების ნება დაურთევიათ კიევის სემინარიის V და VI კლასებში მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ საგნისათვის სხვა სასწავლო საგნებს არ შეამცირებენ. აგრეთვე სემინარიამ უნდა შეადგინოს პროგრამა და უწმინდესს სინოდს წარუდგინოს დასამტკიცებლად.

უცხოეთი

ბოლგარია. გაზეთები ამბობენ და დეპეშამაც ხომ მოგვიტანა ამბავი, ვითომ ბოლგარიიდამ მის იმპერატორებით უდიდებულესობას მისვლოდეს თხოვნა, რომ ჩვენი ქვეყანა თქვენის მფარველობის ქვეშ მიიღეო. «Journal de St-Petérsbourg»-მა სთქვა ამაზედ, რომ ჯერ-ჯერობით, ისევ ბოლგარნი უნდა ეცადნენ და დაიცვან წესიერება, ვიდრე რუსეთი მიეშველებოდეთო.

— ევროპის გაზეთები სხვა-და-სხვა ნაირად სჯიან, სხვა-და-სხვა ნაირის თვალით უცქერიან ბოლგარიაში მომხდარს საქმეს. მოგვყავს სათითაოდ ზოგიერთის გაზეთების აზრი ამ საქმის თაობაზე, «Post»-ი ამბობს: „ეს არის ეხლა სტამბოლიდამ და ბუქარესტიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ბოლგარიის მთავარი ალექსანდრე ვიდინში, როცა ის ჯარებს სინჯავდაო, შეიპყრეს და ბოლგარიიდამ გაისტუმრესო. კარაველოვმა, სამინისტროს მეთაურმა და ცანკოვმა მართებლობის მოწინააღმდეგე დასის წინამძღოლმა, გამოაცხადეს სოფიაში, რომ ალექსანდრე მთავარი ტახტიდამ გადაყენებულიაო, და ახალი მართებლობა შეადგინეს. ამ მოულოდნელმა ამბავმა ყველას ის აფიქრებინა, რომ აწეწილ-დაწეწილს ბოლგარიის საქმეებს ახლა კი ბოლო მოეღებაო. ალექსანდრე მთავარი ინგლისს მიუდგაო. მთავარს ეგონა, რომ ინგლისის ფულით საქმეს გაირიგებდა და აღმოსავლეთის საქმეს ბოლო მოეღებოდა. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდაო. ეხლა ინგლისი თითქმის გამოძევებულია ბალკანებიდამაო. ეს ჩვენ გვაძლევს ნებას ვიფიქროთო, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო, რადგანაც რუსეთსა და ავსტრიას უთანხმოება არ მოუვათ იმის თაობაზე, თუ ვინ იქნება ბოლგარიის მთავრად. ოსმალეთმაც ამ ბოლოს დროს როგორღაც გული აიყარა ალექსანდრე მთავარზე. ინგლისს ეხლა თავისი საკუთარი შინაური საქმეები აქვს მოსაწყობი და გასაკეთებელი; ,ოსმალეთს არც განზრახვა აქვს და არც ძალა, რომ რუსეთს შებას და პირ-და-პირობა გაუწიოს; სამთა იმპერიათა კავშირი დღეს უფრო განმტკიცდა. მაშასადამე მშვიდობიანობას ვერა შეარყევს-რაო.

— გერმანიის ოფიციალური გაზეთები თანაგრძნობით უცქერიან ალექსანდრე მთავარს, როგორც კაცსა; მაგრამ მის ტახტიდამ ჩამოგდებას კი დიდს მნიშვნელობას აწერენ: ევროპის ყოფა-ცხოვრების საქმე განკარგდებაო, რადგანაც ბალკანის ნახევარკუნძული მთავრის გადაყენების გამო მოისვენებსო. ბოლგარიის მოსვენება, ევროპის მოსვენებასაც ნიშნავსო. თუმცა სამწუხაროა, რომ შესანიშნავის ნიჭის პატრონს კაცს, რომელმაც ბოლგარიის ხალხისათვის თავი გასწირა, არა ზოგავდა არა რაიმე მსხვერპლსა მის კეთილ-დღეობისათვის,—ასე სასტიკად მოექცნენო, მაგრამ საქმეს მეორე მხრიდამ რომ ვუცქეროთ, სრულიად სხვა არისო: ამ ერთის სულით ძლიერის კაცის გადაყენება, განძევება ბოლგარიიდამ ჩააქრობს იმ ცეცხლსა, რომელიც შეიძლებოდა მთელს ევროპას მოსდებიყოვო.

— ბოლგარიის მთავარზე ლონდონიდამ სწერენ „Berl. Tagebl."-სა: წარსულს შაბათს ალექსანდრის მთავრის სასახლეს შემოერტყა ქვეითი ჯარისკაცთა რაზმი და სამხედრო სასწავლებლის მოსწავლენი. მთავარს ორში ერთი უნდა აერჩია: ან უნდა მომკვდარიყო, ან ტახტა უარ-ეყო. მთავარმა უკანასკნელს ღონეს მიჰმართა და ტახტის უარ-ყოფაზე მოაწერა ხელი. გაზეთს აქედამ ის დასკვნა გამოჰყავს, რომ პოლიტიკური ყოფა-ცხოვრება ევროპისა მოისვენებსო. შეიძლება მშვიდობიანობა ევროპისა შეირყეს მხოლოდ მაშინ, თუ მთავარი ალექსანდრე როგორმე დაიბრუნებს წართმეულს ტახტსაო. ჩვენ კარგად ვიცით მთავრის ხასიათი; იმას შეუძლიან ასეთი საქმე ჩაიდინოს, რომ ევროპა შეარყიოს და თუ საჭიროება მოითხოვს, გმირულად შესწიროს თავი საქმესაო, მაგრამ ვერ ჩაიდენს ამ გვარს საქმესაო.

— «Independanc Belge»-ს ლონდონიდამ მოსვლია დეპეშა, რომ როდესაც მთავართან მისულან შესაპყრობად, იგი იოტის ოდენადაც არ შემკრთალა, გასაკვირველის გულ-ცივობით შაჰხედრდია პირის-პირ ამ ამბავსა და თვისი ღირსება არ დაუკარგავსო. ამბობენ, კარაველოვს, რომელიც შეთქმულთა წინამძღოლად იყოვო, უთხრაო: „მე მეგობრები არა მყავს, რომ მომეკომაგნენ და მხოლოდ ამიტომ წინააღმდეგობას არ გაგიწევთო." სთქვა ეს და ტახტის უარყოფაზე ხელი მოაწერაო.

— „Русскій Курьеръ"-ი ამბობს, რომ ბოლგარიის თხოვნა ძნელი შესაწყნარებელიაო და საზოგადოდ ეს საქმე ფრიად მძიმე საქმეაო. ვერაფერს ვერ ვურჩევთ ამ საქმის გამო მთავრობასაო. ვინ იცის, იქნება ამ საქმეში გარევამ არა თუ ბოლგარიის ერი ჩააგდოს საშიშარს ყოფაში, არამედ სრულიად სლავიანობასაო. ამას კი ვიტყვით, რომ თუ ყველა სლავიანები თანხმობითა და ძმურად მოიქცევიან, სლავიანების საქმეცა და აღმოსავლეთისაცა ისე გადასწყდება, რომ არც ერთი დიდი სახელმწიფო არ გაერიოს ამ საქმეშიო. მხოლოდ ამისათვის საჭირო კი იქნებოდა, რომ ავსტრია და რუსეთი მეგობრად იყვნენ. ავსტრია ნახევრობით სლავიანთა სახელმწიფოა, 18 მილიონი სლავიანია ავსტრიაში და მისი მეგობრობა ამიტომ იქნებოდა ფრიად საჭიროვო.

დეპეშა

19 აგვისტოს

ტრნოვი. ალექსანდრე მთავარი გუშინ საღამოს მობრძანდა აქ, ტრნოვის მცხოვრებნი მიეგებნენ მთავარს ქალაქიდამ ხუთ ვერსზედ. მთავარმა უთხრა ტრნოველებს: მადლობელი ვარ, რომ სტამბულოვის მეთაურობით პირველად თქვენ დაუწყეთ წინააღმდეგობა მეამბოხეთაო. მთავარი, ვგონებთ, დღესვე წაბრძანდება ფილიპოპოლს.

20 აგვისტოს

პეტერბურგი. „Новое Время"-ა გვაუწყებს, რომ ხივის ხანი ვეღარ იმოგზაურებს, რადგანაც ავად გამხდარაო.

„Journal de St.-Petérsbourg"-ი ამბობს, არა გვგონია, რომ ალექსანდრე მთავრის სოფიაში დაბრუნებამ რამდენადმე უშველოს ბოლგარიის საქმეს და მშვიდობიანობა ჩამოაგდოსო. გაზეთი რჩევას იძლევა, რომ ჯერ-ჯერობით მოთმინებით აღვიჭურვნეთო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ბეწვეული გაიყიდა: რბილს ბეწვეულს ძალიან ყიდულობდნენ საზღვარ გარედ წასაღებად; ციყვის ტყავი შარშანდელზე 50%-ით მეტად იყიდებოდა, რუსეთის ციყვის კუდების ფასი 400 მ. ავიდა ფუთი; ციმბირისა კი 800

მ. ფუთი. ამერიკის დიდრონს თბილს ტყავებს შუათანა გასავალი ჰქონდა. ყიზლიარის ღვინო გაიყიდა ვედრო 2½ და 3½ მანეთად. შალეულობა შარშანდელზე არშინი 5 კ. ძვირად გაიყიდა. საწერი ქაღალდის მექარხნეებმა იყიდეს ძონძები 350,000 ფუთამდე, ვიატსკისა გაიყიდა ფუთი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 25 კაპეიკად.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

21 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. თადეოსისა. კათოლ. წმ. იოანე—ფრანცისკესი. სომეხ. ნახატონაქი. ქართლის მეფე ვახტანგი რუსეთში გადასახლდა, რაკი ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს. მეფეს თან ახლდნენ 5 არქიელი, 5 არხიმანდრიტი, 32 დაბალ წოდების სამღვდელო კაცნი და 43 თავადი და აზნაური. მეფე ვახტანგმა საქართველოდგან თან წაიღო ჯვარი წმ. ნინოსი, 1724 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—33. ტფილისში მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—33; მთვარე ამოდის 10—0, ჩადის 8—52.

22 დღე პარასკევი. მოწ. ალათონიკე. ქალწ.-მოწ. ევლალიასი. კათოლ. მე-8 დღე ღვთის-მშობლის გარდაცვალებიდგან. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—14. ტფილისში მზე ამოდის 5—27, ჩადის 6—31; მთვარე ამოდის 11—8, ჩადის 9—31.

23 დღე შაბათი. მოწ. ლუპპასი, ირინე ლიონის ეპისკ. კათოლ. წმ. ალმსაარ. ფილიპპე ბენიციელისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—55. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30; მთვარე ამოდის 12—11, ჩადის 10—12.

24 დღე კვირა. მღვ.-მოწ. ევტიხა. კათოლ. წმ. მოციქ. ბართოლომესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მოწ. სიკვდ. იმამის ბაგირასი (შიიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—35. ტფილისში მზე ამოდის 5—29, ჩადის 6—28; მთვარე ამოდის 1—11, ჩადის 10—55.

25 დღე ორშაბათი. წმ. მოციქ. ბართოლომესი. კათოლ. წმ. ალმსაარ. ლუდვიგისა კორსიკანელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. ეიმ-ულ-თერვია, აბრაამი ჰფიქრობს შვილის ისმაილის მსხვერპლად შეწირვას. დაპყრობა აღმოსავლეთის კავკასიისა. შამილის დატუსაღება 1859 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—15. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—27; მთვარე ამოდის 2—6 ჩადის 11—43.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხის .	2½
» » 2 »	2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ »
» » 2—	3 »
» » 3 »	2½ »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . .	3½ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
« » 2	6 »
სუკი	12 »
ცხვრის ხორცი . . .	6 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი.	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი.	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** . .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

განცხადებანი

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი **ხუთ შაურად**.

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—9)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დასტული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-დასხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთა-ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს. (20—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.